MES 9 20 0001059674

03/11/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 20.10.2020
სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ
სხდომის დასრულების დრო:16:43 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;

4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
9. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ- ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
12. **გაიანე სიმონია** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
13. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
14. **რომეო გალდავა** - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,ასოციირებული პროფესორი;
15. **ირმაწერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდ აწესებულებისდასახ ელება	სტატუსი	საკითხი
1	ზაზა ავალიანი		დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I

2	ნათია ჯოჯუა	შპს ევროპის უნივერსიტეტი	ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი	**I**
3	სოფიო ხუნდაძე		ვიცე რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	**I**
4	თინათინ გოგნაძე		ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის მენეჯერი	**I**
5	ლევან მიდოდაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი	**II**
6	ციური დურული		სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი	**II**
7	გიორგი ხორბალაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	**II**
8	მარიამ კობერიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	**II**
9	იოსებ ალიმბარაშვილი		ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	**II**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	დავით ჯიქია	(ჩაერთო „ზუმით“)	**I**
2	ნინო პოპიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**II**
3	ნინო პოპიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**III**

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემშეამოწმასხდომაზედამსწრესაბჭოსწევრთარაოდენობადადაადგინა, რომრომ აკრედიტაციის დებულების 272-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 275-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,ქართული სალიტერატურო ენის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,ქართული სალიტერატურო ენის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი:შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებულიმედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	დიპლომირებული მედიკოსი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	19.12.2019 გადაწყვეტილებაN258
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებულიმედიკოსი Medical Doctor (MD)
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ინგლისური
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0189, სარაჯიშვილისქ.N17
12		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

პირველისაკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.

ექსპერტმა განმარტა, რომ შესასრულებლად გაიცა შვიდი რეკომენდაცია, ესენია:
1. რიგ სილაბუსებში გადასახედია შინაარსობრივი მხარე და თემების სწავლების თანმიმდევრობა;
2. სილაბუსებში გასწორდეს და უფრო გასაგები გახდეს შეფასების სიტემა;
3. მეტი ყურადღება დაეთმოს სილაბუსების ფორმირების და ექსპერტიზის საკითხებს;
4. პერსონალის შერჩევა უნდა მოხდეს უმაღლესი განათლების კანონისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 3 იანვრის N10 ბრძანებით დამტკიცებული მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მოთხოვნების საფუძველზე;
5. შეიმუშავდეს უფრო მეტად დეტალური კითხვარები, რათა უკუკავშირის გზით მოხდეს არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება;
6. დაკორექტირდეს კლინიკური სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლების მეთოდები, სილაბუსებში გასწორდეს და უფრო გასაგები გახდეს შეფასების სისტემა;
7. დააკორექტირდეს საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე ფაზის დეფინიცია.
ექსპერტის მითითებით, გარდა რეკომენდაციებისა, დამატებით გაიცა რვა რჩევა. თავის მხრივ, უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ჩამოთვლილი რეკომენდაციები, ასევე შესრულდა დამატებითი სამუშაოები ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებზე. შესაბამისად, ექსპერტს რაიმე სახის შენიშვნა არ წარმოუდგენია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა მათ. იგი სრულიად დაეთანხმა ექსპერტის პოზიციას და აღნიშნა, რომ განსხვავებული მოსაზრება არ გააჩნდა მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა მზადყოფნა გამოთქვა საბჭოს წევრების მხრიდან დასმული შეკითხვებისათვის პასუხის გასაცემად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას მასალებთან დაკავშირებით დამატებითი კითხვები არ ჰქონდა. ასევე, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტსა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:15
დასრულების დრო: 16:17

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე-2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

2. მეორე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ლიტერატურა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	გადაწყვეტილებაN261,19.12.2019 წელი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ქართული ლიტერატურა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა

7	კვალიფიკაციის დასახელება	ქართულილიტერატურისისტორიისმაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, 1400,ქ.გორი,ჭავჭავაძისქ.N68, მე-2 სასწავლო კორპუსი
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტი(ებ)ის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.

ექსპერტი თავდაპირველად მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სულ გამოთქმული იყო ხუთი რეკომენდაცია და ერთი რჩევა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება ყველა მათგანს დაეთანხმა და წარმოადგინა საკუთარი პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, რეკომენდაციების გათვალისწინებას შესაძლებელია მოჰყოლოდა თავად სამაგისტრო პროგრამის მოდიფიცირება, რადგან რეკომენდაციების ნაწილი ეხებოდა გარკვეული საკითხებს, დამატებითი და ძირითადი ლიტერატურის განახლების საკითხებს, სილაბუსებში გარკვეული საკითების შეტანას. ამიტომ ექსპერტმა გამოითხოვა მთლიანი სამაგისტრო პროგრამა, რისი შედარებაც მოხდა იმ ცვლილებებთან, რაც დაწესებულებამ განახორციელა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილების საფუძველზე. ექსპერტმა მიუთითა, რომ მათი დასკვნა არის შეჯერებული, როგორც ანგარიშის, ასევე მთელი პროგრამის ანალიზის შედეგად.

საგანმანათლებლო დაწესებულებამ ხუთივე რეკომენდაცია გაითვალისწინა, ესენია:

1.„სავალდებულო საგანში „მიმდინარე ლიტერატურული პროცესი“ ყურადღება გამახვილდეს პოსტმოდერნიზმზე და/ ან თანამედროვე ლიტერატურულ მიმდინარეობებზე, ამ საგნის ფარგლებში ისწავლება თანამედროვე ქართველი ავტორების ტექსტები, რაც ლიტერატურული მიმდინარეობის თვალსაზრისითაც უნდა იყოს განხილული.“

ექსპერტის მითითებით, დაწესებულების ანგარიშში აღნიშნულია, რომ მოცემული რეკომენდაცია შესრულდა. მითითებულ საგანში ჩამოთვლილი იყო მხოლოდ ავტორები, თუმცა აკლდა საკითხი, თუ რომელი თეორიის,რომელი ლიტერატურული მიმდინარეობის ფონზე უნდა ყოფილიყო ამ ავტორების ნაშრომები განხილული.რეკომენდაციაც სწორედ ამ საკითხს შეეხო.მართალია, საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაამატა პოსტმოდერნიზმთან დაკავშირებით სხვადასხვა საკითხი/თემა, თუმცა ექსპერტთა მოსაზრებით უმჯობესი იქნებაამ თემის კიდევ ერთხელ გადახედვა.

2. საგანში XX საუკუნის ქართული ლიტერატურის აქტუალური პრობლემები, მიზანშეწონილია, დაზუსტდეს თემატიკაში XX საუკუნის ქართველი ავტორების და/ ან ნაწარმოებების ჩამონათვალი, რომელთა მიხედვითაც შეისწავლება აღნიშნული პერიოდის ლიტერატურის აქტუალური პრობლემები.“
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია შესრულდა და ნამდვილად დაემატა ამ საგანში სხვადასხვა ავტორების ნაწარმოებები. მაგალითად, გრიგოლ რობაქიძის, გალაკტიონ ტაბიძის, ჭაბუა ამირეჯიბის, ოთარ ჭილაძის, მუხლან მაჭავარიანის, ლია სტურუას, გურამ დოჩანაშვილისა და სხვების. ექსპერტის მითითებით, მნიშვნელოვანია, ამ ტექსტების ანალიზი მოხდეს იმ თეორიის, იმ ლიტერატურათმცოდნეობითი თანამედროვე თეორიების ფონზე, რომლებიც ამ ეპოქას შეისწავლის.

3. „საგანში „პოეტური ეპოსი აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში“, განახლდეს სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა ახალი გამოცემებით.“

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ საგნისათვის სილაბუსში გაითვალისწინებულ იქნა რამდენიმე ახალი გამოცემა, მათ შორის, რეზო სირაძის, ნესტან სულავას, გიორგი ალიბეგაშვილის და სხვათა ნაშრომები. ასევე დამხმარე ლიტერატურაში შეტანილია ელგუჯა ხიმჩიბიძის 2009 წელს გამოცემული ნაშრომი.

4. ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსის „ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიის“ სილაბუსში არ არის ასახული XX საუკუნისა და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ფოლკლორისტიკის მიღწევები, კერძოდ, ვახტანგ კოტეტიშვილის, აკაკი შანიძის, ქსენია სიხარულიძის, ელენე ვირსალაძის, მიხეილ ჩიქოვანის, აპოლონ ცანავას, ზურაბ კიკნაძისა და სხვა მკვლევართა ღვაწლი ქართული ფოლკლორისტიკის წინაშე. „ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიის“ სასწავლო კურსის შინაარსში თანაბრად აისახოს როგორც XIX საუკუნის, ისე XX საუკუნისა და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ფოლკლორისტიკის მიღწევები. ამავე საგნის სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურის სიას დაემატოს წიგნი: თემურ ჯაგოდნიშვილი, ნარკვევები XX საუკუნის ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიიდან, გამომცემლობა „საარი“, თბილისი, 2019;

დაწესებულების ანგარიშში მითითებულია, რომ საგნის „ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია“ სილაბუსი შეივსო რეკომენდაციაში მითითებული ავტორების ნაშრომებით. ექსპერტის განმარტებით, ცალკე თემა ეძღვნება ასევე ასახული ვახტანგ კოტეტიშვილის, აკაკი შანიძის, ზურაბ კიკნაძისა და სხვათა კვლევებს. ასევე, დამატებულია თემურ ჯაგოდნიშვილის წიგნი „ნარკვევები XX საუკუნისქართულიფოლკლორისტიკისისტორიიდან. ''

5. სილაბუსების ნაწილში არსებობს ტექნიკური ხარვეზები. გასწორდეს აღნიშნული ტექნიკური ხარვეზები.
დაწესებულების ანგარიშში მითითებულია, რომ აღნიშნული რეკომენდაცია ეხებოდა რამდენიმე საგნის სილაბუსს. გადაიხედა სპეციალურად ამ მიმართულებით და შესწორდა. შესაბამისად, ექსპერტის მოსაზრებით, ეს რეკომენდაციაც შეიძლება რომ შესრულებულად ჩაითვალოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტს წარმოდგენილი მოსაზრებისათვის.
მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ყველა ჩამოთვლილი რეკომენდაცია შესრულდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ნინო დობორჯგინიძემმიუთითა, რომ ძველი ქართული ლიტერატურის სამეცნიერო შესწავლის საეტაპო პერიოდად ითვლება ივანე ჯავახიშვილისა და ადოლფ ჰარნაკის მიერ ძველი ქართული ტექსტის პირველი გამოცემა,ასევე ივანე ჯავახიშვილის მიერ მომზადებული ორი მონოგრაფია. რადგან სასწავლო დაწესებულების ერთ-ერთი საგნის სახელწოდებაა არა „ქართული ლიტერატურის ისტორია“, არამედ „ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის ისტორია“ აუცილებელია, რომ სასწავლო პროგრამაში შეტანილი იყოს ქართული ლიტერატურის სამეცნიერო შესწავლის ადგილობრივი, თუ საერთაშორიო ეტაპები. ასევე, საბჭოს წევრის მითითებით, სასწავლო დაწესებულებამ გვერდი არ უნდა აუაროს ჟერარ გარიტის სკოლას, ყველაზე ცნობილს ძველი ქართული ლიტერატურის კვლევისა.
ილიასმცოდნეობასთან დაკავშირებით, ნინო დობორჯგინიძის რჩევით, მართებული არიქნება მხოლოდ ერთი თვალსაზრისით სწავლება, რადგან ილიასმცოდნეობა ეს არის მოძღვრება ილია ჭავჭავაძის შესახებ. ილია ჭავჭავაძის შესახებ განსაკუთრებული კვლევა დაიბეჭდა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის წინა პერიოდში და მისი გვერდის ავლაც ასევე, არ იქნება მართებული.
საბჭოს წევრის მითითებით, ყველაზე პრობლემური და გადასახედი საკითხია თანამედროვე კვლევის მეთოდები. რეალურად ეს არის აკადემიური წერის სილაბუსი და არ არის ნახსენები, თუ როგორ ხდება ლიტერატურის კვლევა. ძირითად ლიტერატურაში არ არის დასახელებული ის, რაც საგანს ეხება. ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებას შემოთავაზებული აქვს საგანი ჰერმენევტიკა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ძველი ქართული ლიტერატურის კვლევისათვის, თუმცა რეალურად უმჯობესი იქნება საგნისათვის სახელის შეცვლა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ სამაგისტრო პროგრამა არის მუდმივად განვითარებაზე ორიენტირებული. საბჭოს წევრებისა და ექსპერტების მიერ გაცემული რჩევები, მოსაზრებები, რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება უნივერსიტეტის მხრიდან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:39
დასრულების დრო: 16:41

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში სცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე-2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

3. მესამე საკითხი : სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,ქართული სალიტერატურო ენის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული სალიტერატურო ენა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	გადაწყვეტილება N 260, 19.12.2019 წელი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ქართული სალიტერატურო ენა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, 1400, ქ. გორი, ჭავჭავაძისქ. N68, მე-2 სასწავლო კორპუსი
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტი(ებ)ის პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.

ექსპერტის მითითებით, სულ გამოთქმული იყო ორი რეკომენდაცია და ერთი რჩევა, ესენია:

1.ქართველური ენების: ქართული, მეგრულ/ზანური, სვანური სრულყოფილად სწავლების, ასევე, ქართული სალიტერატურო ენის მაგისტრატურის დასრულების შემდეგ ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კვალიფიკაციისათვის მიზანშეწონილია სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატოს სვანური ენა.“

ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაში არ იყო შეტანილი სვანური ენა. დაწესებულების მხრიდან ეს საკითხი აიხსნა სპეციალისტების რაოდენობის ნაკლებობით. თუმცა, რეკომენდაცია მაინც გაიცა. დაწესებულების ანგარიშში მითითებულია რომ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის ქარველური ენათმეცნიერების მაგისტრი აკადემიური ხარისხისშესაბამისი კვალიფიკაციისათვის სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატა სვანური ენა. შესაბამისად, აღნიშული რეკომენდაცია შესრულდა. ასევე, თან დაერთო სვანური ენის საგნის სილაბუსიც.

2.საგანში - ,,აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები“, სავალდებულო ლიტერატურაში დაემატოს ქართული დიალექტური კორპუსი დიდი ქართული დიალექტური ბაზა და ქართული დიალექტების ელექტრონული ატლასი.

ექსპერტის მითითებით, მოცემული რეკომენდაციაც შესრულდა დაწესებულების მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს წარმოდგენილი მოსაზრებებისათვის და სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინა პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისათვის და დაეთანხმა ექსპერტს რომ დაწესებულების მხრიდან ყველა გაცემული რეკომენდაცია სრულად შესრულდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:39
დასრულების დრო: 16:42

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,ქართული სალიტერატურო ენის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე-2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,ქართული სალიტერატურო ენის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს სხდომა დასრულდა 16:43 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა